პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
შაბათი
15 სექტემბერი
№ 213 (17558)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ, ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲐᲓ!

● ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ● ᲛᲔᲢᲠᲝᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲙᲔᲗᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲕᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲘᲬᲕᲔᲕᲔᲜ ● 4,5 ᲬᲚᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 2 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡᲐ ᲓᲐ 8 ᲗᲕᲔᲨᲘ.

ᲓᲐᲕᲐᲑᲘᲜᲐᲝᲗ ᲭᲘᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ

ᲛᲔᲮᲣᲗᲔᲚ-ᲛᲝᲗᲘᲡᲔᲚᲘᲡ შრომა იოლი არასოდეს ყოფილა, მაგრამ წლევანდელ გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე ჩვენი რესპუბლიკის მიწათმოქმედს ამინდის ჭირვეულობამ მეტად დიდი სიძნელეები შეუქმნა. სტიქიასთან ბრძოლაში სოფლის მშრომელებმა მაქსიმალური მობილიზება, ორგანიზებულობა და მუყაითობა გამოიჩინეს. ამის შედეგია, რომ რესპუბლიკის ბალ-ვენახებსა და ველ-მინდვრებში დიდ-პატარა წლის უხვ მოსავალს იმკის, მაგრამ დასახული მიჯნების მიღწევისათვის ბრძოლა კულმინაციას სწორედ ახლა აღწევს, დადგა ყველაზე პასუხსაგები პერიოდი — დასაბინავებელი ჭირნახული. ამ დღეებში მოავარი საზრუნავია შემოდგომაზე ადრეულ ვადებში და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, მივაწოდოთ მომხმარებელს უდიდესი შრომის შედეგად მოწეული ყოველი კილოგრამი პროდუქცია.

დოვლათის სიუხვე იმითაც განისაზღვრება, თუ როგორ შეთანხმებულად, კეთილსინდისიერად და ზუსტად იმუშავებენ სოფლის მეურნეობის მუშაკების მხარდამხარ დამამზადებელი, სავაჭრო, სატრანსპორტო ორგანიზაციები და გადამმუშავებელი საწარმოები.

დიახ, მაგ, ვის ხელშიც უნდა გაიაროს წლის მოსავალმა, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. წლეულს უნდა დამზადდეს 440 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 575 ათასი ტონა ყურძენი, 430 ათასი ტონა ხილი, 310 ათასი ტონა ბოსტნეული, 165 ათასი ტონა მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

მომხმარებლამდე ასეთი დიდძალი პროდუქციის უმცირესი დანაკარგებით მისატანად მარტო თავგამოდებული შრომა არ კმარა, საჭიროა დიდი ოსტატობა და უნარი, მოსავლის დაბინავებაში მონაწილე გამოცდილების გამოყენება. სწორედ ამიტომ არის, რომ მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ დაბინავება, მიწათმოქმედების პროდუქტების დამზადების გეგმების უთუო შესრულება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, დამამზადებელ, სატრანსპორტო და სამრეწველო საწარმოებს უმნიშვნელოვანეს საერთო-სახელმწიფო ამოცანად დაუსახა.

ბევრი კოლექტივი ამ მოთხოვნას პრაქტიკულად ახორციელებს, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ბალ-ვენახებისა და ბოსტნების ჭირნახლის აღების, დამზადების, გადამუშავების და საზამთროდ დაბინავების ორგანიზაციის სრულყოფისათვის. მაგალითად, პირუტყვის საკვებს დამკვრელური ტემპით ამზადებენ ლენტების, ჭალკის, ბოგდანოვკის, დმანისის რაიონები; სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს მარნეულის, ლაგოდეხის, ახაშის, ზესტაფონის, ვანის რაიონებმა; რთველი ორგანიზებულად დაიწყეს გურჯაანელმა, წითელწყაროელმა, თელაველმა და ყვარელელმა მევენახეებმა.

რთველის ორგანიზებულად მოწყობისათვის დროულად იზრუნეს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქსსსოფლტექნიკამ და ღვინის მრეწველობამ. მარტო კახეთის რაიონებში გაიგზავნება 1.080 ავტომანქანა; ამ რეგიონის ღვინის ქარხნებს შეუძლიათ გადაამუშაონ 450 ათასი ტონა ყურძენი, რაც ქარხნების აქ დასამზადებელი ყურძნის ოდენობას.

სამწუხაროდ, ყველგან როდი ითვალისწინებენ, რომ წლეულს ვაზამ ბევრი კულტურა ნაადრევად დაამწიფა და მოაახლოვა მათი მოსავლის აღების პერიოდები, რის გამოც სახალხო დოვლათის გადასარჩენად საჭირო ღონისძიებები სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს. ზოგან გულარხეინად ეგუებიან იმას, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების გეგმა-ვალდებულების შესრულება საფრთხეშია. მაგალითად, ხაშურის, ქარელის, კასპის, საგარეჯოს რაიონებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის გეგმები მხოლოდ 4-10 პროცენტით აქვთ შესრულებული; კურკოვანი ხილის დამზადების გეგმა სანახევროდაც არ არის რეალიზებული ხაშურის, დუშეთის, თელავის, ყვარლის, თეთრი წყაროს, წყალტუბოს, სამტრედიის, ზუგდიდის, მახარაძის რაიონებში.

უთუოდ პასუხისმგებლობის მოდუნებაა იმის მიზეზი, რომ გორის, მარნეულის, თიანეთის, სამტრედიის, წულუკიძის, თერჯოლის და სხვა რაიონებში 10 სექტემბრისათვის არც ერთი ტონა სილოსი არ იყო დამზადებული.

პირდაპირ უნდა ითქვას, მთელი რიგი რაიონების პარტიული კომიტეტები და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომები ჯეროვნად არ ზრუნავენ საკვების წარმოების გეგმების შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კი ჯერაც ვერ მოაგვარა საკვების ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი წარმოების დადგენილი ტექნოლოგიის დაცვის საქმე.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ ზოგ მეურნეობაში დიდი შრომა-გარჯით მოწეულ ძვირფას პროდუქციას აფუჭებენ. მარნეულის და ბოლნისის რაიონებიდან სოხუმში გაგზავნილი 2.701 ტონა საადრეო კარტოფილიდან უვარგისი აღმოჩნდა 518 ტონა. ეს იმის შედეგია, რომ შესაბამისი მეურნეობების ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციების მუშაკები, სახალხო კონტროლიორები დროულად არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ დანიშნულების ადგილზე იგზავნებოდეს მხოლოდ გადარჩეული, სტანდარტული პროდუქცია და ამავე დროს დაცული იყოს ტრანსპორტირების წესები.

პროდუქციის დანაკარგებს ისიც იწვევს, რომ აგრარულ-სამრეწველო-საავჭრო გაერთიანება და „თბილისელბოსტანავჭრობა“ მეურნეობებს ზოგჯერ დროულად ვერ უზრუნველყოფენ ტრანსპორტით და ტარით. ამის გამოც მოკრეფილი ხილ-ბოსტნეულის ხარისხი ქვეითდება.

ასეთ ფაქტებს ვერ შეეურიგდებით, მით უმეტეს წლეულს, როცა სტიქიით გამოწვეული ზარალის შესამცირებლად, თითოეული კილოგრამი პროდუქციის შენარჩუნებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაა გაჩაღებული.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ გეგმა-ვალდებულებების შესრულებისათვის ყველა რეზერვის ამოქმედების საქმეს. უპირველეს რეზერვად კი მიჩნეული უნდა იყოს შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის, უყაირათობის აღმოფხვრა. და აქაც მაგალითს კომუნისტები უნდა იძლეოდნენ.

მბარდაზერისა და მოწონების იმსახურებს თბილისის სამრეწველო საწარმოთა იმ პარტიული ორგანიზაციების თაოსნობა, რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკვებმომპოვებელთა დახმარებლად მოიბავთ ბრიგადებს ქმნიან. ასეთ ენთუზიასტებს საშეფო მეურნეობების ხელმძღვანელებმა შრომისა და დასვენების ყველა პირობა უნდა შეუქმნან. არ უნდა განმეორდეს იხეთი შემთხვევები, როცა შეფებს დამზადებული საკვების ღერიცხვა-ჩაბარების დროს აწვალებენ ხოლმე.

შემოდგომის ცხარე დღეები პარტიული ორგანიზაციებისათვის, ყველა კომუნისტისათვის მკაცრი გამოცდაა. მათ ახლა უნდა გამოავლინონ თავიანთი ბრძოლისუნარიანობა და კომპეტენტურობა, ბასების შთაგონებისა და ბეჯითი შრომისათვის დარაზმვის უნარი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მოსავლის აღების დროს ყოველი წარმატება, ყოველი შრომითი გამარჯვება, შრომის ორგანიზაციის ყოველი ახალი ფორმა დაუყოვნებლივ მთელი ალობის ფრონტის საკუთრება ხდებოდეს. მოსავლის ბედი ადამიანებმა უნდა გადაწყვიტონ. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი იქნება თითოეულ აგრეგატში, ბრიგადაში, რგოლში...

პარტიული ორგანიზაციები, მეურნეობათა ხელმძღვანელები უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ თითოეული შრომითს კოლექტივში, თითოეულ მოსავლის ამღებ აგრეგატზე შექმნილი იყოს საქმიანი ვითარება, ალობის მონაწილეს საშუალება ჰქონდეს უშუალოდ მინდორში ისადილოს და დაისვენოს კიდეც. მოსავლის აღების ამ დაძაბულ ვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის სრულყოფას, მშრომელთა შრომითი აქტიურობის ამაღლებასა და ინიციატივის განვითარებაში შეჯიბრების როლის გაძლიერებას, ძალების სწორად განაწილებას.

სოფლის მშრომელებს ხუთწლედის მეოთხე წლის შემოდგომის ცხარე დღეები აკალებს გაორკეცონ და გასამკეცონ შეცადინება, რათა საშშობლოს მისცენ მინდვრებისა და ბალ-ვენახების მეტი პროდუქცია.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ

ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲡ ᲩᲐᲓᲒᲐ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲘᲒᲘ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ მკითხველებს ვალტყობინებდით, რომ დროის სულ მცირე მონაკვეთი გვაშორებდა ჩვენი ჟალარა, მაგრამ მარად ახალგაზრდა დედაქალაქის მკვიდრთა ამ სანუკვარი ნატვრის ახდენამდე და მწყობრში ჩადგებოდა მეტროპოლიტენის მეორე რიგის მშენებლობა საბურთალოს მიმართულებით.

მას შემდეგ არცთუ ისე დიდი დრო გავიდა. და აი მშენებელთა სახელოვანმა კოლექტივმა, როგორც ეს სიტყვის ხალხს სჩვევია, პირობა დროულად შეასრულა. თავისი ვალი დედაქალაქის მშრომელთა წინაშე მშენებლებმა პირნათლად მოიხადეს.

დღევანდელი დღე „თბილისგვირაბმშენის“ ისტორიაში, 1966 წლის 11 იანვრის შემდეგ (მაშინ ციისფერმა ექსპრესმა ჩვენს ქალაქში პირველად დაარღვია მრავალსაუკუნოვანი დუმილით მოცული მიწისქვეშეთის სიმყუდროვე) თავის ახალ სასახლეო ფურცელს ოქროს ასოებით ჩაწერს.

ასობით მშენებლის თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ თბილისის მიწისქვეშა სასახლეები ვადამდე გადაეცა საექსპლოატაციოდ. პირველ სურათზე მოწინავე მეტრომშენებელთა არმიის მხოლოდ ერთი პატარა ჯგუფია აღბეჭდილი.

ეს გახლავთ გვირაბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა სადგურ „დელისის“ ძალზე რთული ტრასის მშენებლობის საქმეში. მარჯვნივ წინა პლანზე თქვენ ხედავთ გვირაბგამყვანთა მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელს თ. კობახიძეს და მისი კოლექტივის წევრებს ვ. ხახნელიძეს, პ. კერვალიშვილს, შ. გოცირიძეს, მ. ქორდაძეს და ა. მიხაილოვს.

მეორე სურათზე თბილისის მეტროპოლიტენის სქემაა ნაჩვენები. შავი მთლიანი შტრიხებით აღნიშნულია მოქმედი სადგურები, შავი წყვეტილით — მშენებარე სადგურები, ხოლო მკრთალი წყვეტილი ხაზებით — მომავლისათვის გათვალისწინებული ასაშენებელი სადგურები.

მესამე სურათზე „ვაგზლის მოედნის“ მეორე გადასასხდომია აღბეჭდილი. აქ ჩამოსული მგზავრები ახალი საესკალატორო გვირაბით სასტუმრო „კოლხეთთან“ ამოვლენ. ვისაც გზის გაგრძელება სადგურების — „დიდუბის“ ან „სამგორის“ მიმართულებით სურს, 70 მეტრი სიგრძის მიწისქვეშა გასასვლელს გაივლის, შევა „ვაგზლის მოედნის“ ვესტიბიულში და განაგრძობს მგზავრობას. ამავე გადასასვლელით ისარგებლებენ ოქტომბრის ქუჩაზე მიმავალნიც.

მაშ ასე, მწყობრშია საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის კიდევ ერთი სასიცოცხლო არტერია. რა სასიამოვნო და რა სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დღევანდელი თბილისი თავისი მეტროპოლიტენით მსოფლიოს უდიდეს ქალაქთა რიცხვშია. რა ბედნიერებაა იმის წინასწარი შეგრძნობა, რომ ჩვენი მეტროპოლიტენის მეორე რიგი, ისევე როგორც პირველი, გამორჩეული იქნება უმაღლესი კულტურის მომსახურებით. საქართველოს მშრომელებმა და ჩვენმა სტუმრებმა იმთავითვე, ახლოს მიიტანეს გულთან მეტროპოლიტენი და ამაყობენ მისით და განმარტო ამაყობენ, თვალისჩინივით უფრთხილდებიან მას. მადლიერი თბილისელები, მთელი ქართველი ხალხი ასეთ შესანიშნავ საჩუქარს ახალი შრომითი შემართებით უპასუხებენ, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა ვადამდე შეასრულონ მეათე ხუთწლედის დავალებანი და ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობას.


ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘ
ᲓᲘᲓᲘ ᲓᲘᲓᲝᲛᲘ
ᲑᲐᲚᲜᲘᲡᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ
ᲓᲘᲓᲝᲛᲘ
ᲓᲘᲓᲝᲛᲘ II
ᲓᲘᲓᲣᲑᲔ
ᲓᲘᲓᲣᲑᲔ
ᲒᲚᲓᲐᲜᲘ
ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ
ᲔᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘ
ᲗᲣᲛᲐᲝᲕᲐ
ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲗᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ
ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ
ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘ
ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ
ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲡ ᲩᲐᲓᲒᲐ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲘᲒᲘ
ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ
ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ
ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐ
ᲕᲐᲪᲐᲡ ᲖᲦᲕᲐ-ᲕᲐᲪᲐᲡ ᲒᲐᲖᲦᲐᲠᲘ
ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ
ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ
ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲦᲐᲠᲘ
ᲕᲐᲪᲐᲡ ᲙᲐᲠᲗᲐ
ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘ
ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲘᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ Ა. ᲮᲐᲠᲩᲘᲚᲐᲕᲐ, Ი. ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ, Გ. ᲛᲔᲡᲮᲘ, Თ. ᲙᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ, Ა. ᲓᲝᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ლ. ᲒᲝᲑᲔᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ. Ლ. ᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Უ. ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲫᲔ, Მ. ᲨᲣᲥᲕᲐᲜᲘ, Მ. ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲕᲘ, Ნ. ᲒᲘᲜᲢᲠᲐᲫᲔ, Გ. ᲓᲐᲠᲡᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ, Ა. ᲓᲝᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Გ. ᲙᲘᲠᲨᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ. ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ

ვაშენოთ კარგად, ეკონომიურად, ვაშენოთ საუკუნეებისათვის

რესპუბლიკა მშენებლობის ხარაჩოებში

რესპუბლიკა ახალ მშენებლობათა ხარაჩოებშია, სწრაფად ვითარდება სამრეწველო, საბინაო-სამოქალაქო, სასოფლო, საკურორტო, სატრანსპორტო მშენებლობა. კავკასიის მთებში შენდება უნიკალური ენგურის ჰიდროელექტროსადგური. მის გვერდით — ხუდონის ჰიდროელექტროსადგური. საზღვრებს აფართოებს საქართველოს დიდი ქიმიის ფლაგმანი — რუსთავის ქიმიური ქარხანა, ფაქტიურად საწარმო ახალგაზრდადგება. აქ შენდება ამიაკის, ამონიუმის გვარჯილის, სუსტი აზოტმჟავას საამქროთა კომპლექსები. ახალი სიმძლავრენი შენდება რუსთავის შეტალურგიულ, თბილისის ელმავალსაშენებელ, ქუთაისის საავტომობილო ქარხნებში, მსუბუქი, კვების, მრეწველობის სხვა დარგების საწარმოებში. დღეს საექსპლოატაციოდ გადაეცემა თბილისის მეტროპოლიტენის ახალი ხაზი. ქალაქებში, სოფლებში იზრდება ახალი საცხოვრებელი მიკრორაიონების, ჯანმრთელობის კერების. სამავშვო ბაღების, სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების კორპუსები.

ამ დღეებში რესპუბლიკის მშენებლობებს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგე ამხ. ი. ნ. დმიტრიევი. მან დაათვალიერა ქალაქები თბილისი, სოხუმი, გაგრა, ქუთაისი, რუსთავი, მთელი რიგი რაიონები, დაწვრილებით გაეცნო ენგურისა და ყინვალის ჰიდროელექტროსადგურების, რუსთავის ქიმიური და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიმდინარეობას. ამხ. დმიტრიევმა მაღალი შეფასება მისცა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში, ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე, წყალოსმარდობის კომპლექსში, მეტროპოლიტენში, მთელ რიგ სხვა საცხოვრებელ მიკრორაიონებში ' ჩატარებულ სამშენებლო სამუშაოთა ჩინებულ ხარისხს. იგი აგრეთვე იყო აბაშის რაიონის სუჯუნის მეცხოველეობის კომპლექსში, ოჩამჩირის რაიონის ოხურეის სათბურ კომბინატში, მარნეულის რაიონის თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკაში, ნოსირის საშენ მასალათა კომბინატში, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში. ამხ. ი. ნ. დმიტრიევი ეწვია საშენ მასალათა მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევითს, ინსტიტუტებს, შეხვდა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს.

საქართველოს ქალაქმშენებლობის სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის საპროექტო ინსტიტუტების სპეციალისტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, მსხვილი ტრესტების. საპროექტო-საკონსტრუქტორო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელთა შეხვედრა ამხ. ი. ნ. დმიტრიევთან. შეხვედრაზე მან ილაპარაკა თავის შთაბეჭდილებებზე, გამოთქვა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები.

ამხ. დმიტრიევმა აღნიშნა, რომ მშენებლობის თანამედროვე განვითარება ახალ მოთხოვნებს უყენებს მართვასა და დაგეგმვას. ეს დღეს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. მშენებელთა წინაშე, ისევე როგორც მრეწველობის ყველა დარგისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დგას ამოცანა, რომ აამაღლონ გეგმიანი მუშაობის დონე, შეუსაბამონ იგი ჩვენი მეურნეობის ახალ მასშტაბს, დროის მოთხოვნებს.

ამ ხაზის თანამიმდევრული განხორციელება მკაფიოდ გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებაში „დაგეგმვის გაუმჯობესების, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“. ამ დადგენილებით უნდა შეიარაღდეს რესპუბლიკის ყველა მშენებელი, ისინი მოქმედების ძირითადი სახელმძღვანელო უნდა გახდეს.

როცა შეეხო გარკვეულ წარმატებებს მშენებელთა მუშაობაში, ამხ. ი. ნ. დმიტრიევმა აღნიშნა არსებული ნაკლოვანებანი. მან თქვა, რომ უნდა გაუმჯობესდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმე, მეტი ყურადღება დაეთმოს ასამუშავებელ ობიექტებზე ძალების კონცენტრაციის საკითხებს, ყოველნაირად გაუმჯობესდეს სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ საუკუნეებისათვის ვაშენებთ.

სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებში ნამდვილი სისტემური მუშაობა უნდა განხორციელდეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისათვის, სამეურნეო ანგარიშის ყოველნაირად დანერგვისათვის, მნიშვნელოვან თაოსნობებს ყველგან უნდა დაუჭირონ მხარი, რათა დღეს შექმენილი გამოცდილება ხვალ კიდევ უფრო იხვეშებოდეს.

რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს ამხ. ი. ნ. დმიტრიევს ახლდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე გ. ა. ანდრონიკაშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მეძმარიაშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ა. ხარატიშვილი, რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარე გ. ზ. მირიანაშვილი.

ერთიანი მიზანი, საერთო ამოცანა

მართლწესრიგის განმტკიცების მთავარი მიმართულება

დვას პირველი ხარისხის ფასად აპირებდა. მოქალაქე მოითხოვდა ჩავრეულიყავით, რათა თავიდან აგვეცილებინა მომმხარებელთა ანგარიშში მოტყუება, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, დანაშაული...

მოგიყვანთ მეორე მაგალითს. საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთ საამქროში დამტაკებელთა ჯგუფი გამოაშკარავეს. ვერ ვიტყვით, რომ ისინი განსაკუთრებით ინიციატორები იყვნენ. პირიქით, ყველას დასანახად მოქმედებდნენ. მათი „საქმიანობის“ ამბავი ბევრმა იცოდა, მაგრამ არავის არ ეყო ვაჟკაცობა ეცნობებინა ეს შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის. აქ ასევე საქმე გვაქვს ობივატელურ პრინციპთან: „მე რა მესაქმებაო“.

ზოგიერთი ჩვენი მოქალაქე ამხანაგობაზე ცოტ წარმოდგენით ხელმძღვანელობს. ისინი, მაგალითად, დაუფიქრებლად გადაეშვებიან ბობოქარ მდინარეში წყალწალებულის გადასარჩენად, მაგრამ ხშირად გულგრილად უყურებენ, როგორ ირთვევს დამნაშავეობის ჭაობი ადამიანს. უადგილო არ იქნება ვიკითხოთ: განა სამართალდარღვევათა აღმოფხვრის მისწრაფება კაცთმოყვარეობით, ადამიანზე მზრუნველობით არ არის ნაკარნახევი?

მე უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში ვცდილობთ სულ უფრო მეტად დაეყრდნოთ მოსახლეობის დახმარებას. ამის მაგალითია სანინაგან საქმეთა სამინისტროს [illegible] ტიული აქტივის ამასწინანდელ კრებაზე, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მართლწესრიგის დასაცავად და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად გამოტანილი დადგენილების განხილვას, დასახულია ამ დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტის მოთხოვნების რეალიზაციის ვრცელი გეგმა, ჩვენი სამინისტროს თითოეულ ქვეგანაყოფს დაეკისრა პასუხსაგები ამოცანები, განსაკუთრებით—პატიოსანი და კვალიფიციური კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში. ნურავის ნუ ექნება იმის იმედი, რომ აქ ვინმეს უპატიებელს აპატებენ. მარტო წელს ჩვენ დაახლოებით 50 კაცი დავითხოვეთ ორგანოს მუშაკის სახელგამტეხი მოქმედებისათვის. ეს კამპანია როდია: მაღალი მომთხოვნელობა არ შენელდება.

მილიციის კადრებს ემატებიან ახალი ადამიანები, უზადო რეპუტაციის პატიოსანი და შეგნებული მუშაკები. ისინი ჩვენთან მოდიან პარტიული და კომკავშირული ორგანოების, მშრომელთა კოლექტივების რეკომენდაციით და რეგულარულად აბარებენ მათ ანგარიშს.

პარტიული პრინციპულობა მოითხოვს გულახდილად ვაღიაროთ: შინაგან საქმეთა ორგანოები ვალში არიან რესპუბლიკის მშრომელების, მთელი საზოგადოებრიობის წინაშე. რა დასამალია, და გასული წელი ჩვენთვის ძნელი იყო. და თუ დღეს ვლაპარაკობთ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პოზიტიურ ძვრებზე, მათ უწინარეს ყოვლისა. [illegible] ...ნე, [illegible] ...ური მუშაობის [illegible] ...ლსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, [illegible] ...ლობრივი პარტიული კომიტეტ[illegible] [illegible] ...ეთ სამართალ[illegible] [illegible] ...ის მუშაობის[illegible] [illegible] ...ბელი ყურადღ[illegible] [illegible] ...ბენ, რომ [illegible] ...ტიულ-სამმეგრო და პროფიკავშირული საქმიანობა იმ შინაგან საქმეთა ორგანოებმა, რომლებსულ ცოტა ხნის წინათ მაკრიტიკებდა, მაგრამ სამართლიანი კრიტიკა ობიექტებს წარმოადგენდნენ. ეს ენა თბილისისა და ქუთაისის, [illegible] მხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოები, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, თელავის, ზუგდიდის, მცხეთის, ფოთის, სამტრედიის, ქარელის, ზ[illegible]ბის, გეგეჭკორის და სხვ. რაიონების შინაგან საქმეთა განყოფილებანი.

როცა ამ დადებითს მომენტებ[illegible] ვიფასებთ, ჩვენ არ ვიჩქარობთ [illegible] ის გამოცხადებას, რომ მდგომ[illegible] რეობა რადიკალურად გაუმჯობ[illegible] სდა. ჩვენ ვამბობთ: ეს მხ[illegible] ლოდ დასაწყისია. ამიტომ, ვაკ[illegible] მბები რა გაწეული მუშაობის [illegible] დეგებს, ჩვენ გავიცქერით ხვალ[illegible] დელ დღეს, პერსპექტივას, ვამ[illegible] ვიდრებთ ყოველი ჩვენგანისათვ[illegible] მისაღებ ერთადერთ პრინციპს: [illegible] თავდადებით, ერთგულად ვემსახუროთ პარტიას, ხალხს, სოციალისტურ საზოგადოებას, ფეხ[illegible] ავუწყოთ გმირ მუშათა კლასს, [illegible] სოფლის მშრომელებსა და [illegible] ხალხო ინტელიგენციას. და ჩვენ [illegible] ვლავაც ამ მაღალი პარტიული [illegible] პოზიციებიდან, სკკპ ცენტრალური [illegible] კომიტეტის დადგენილებ[illegible] მოთხოვნების შესაბამისად განვ[illegible] ხილავთ რესპუბლიკის შინაგან[illegible] საქმეთა ორგანოების ყოველ[illegible] ქვეგანაყოფის, თითოეული მუშ[illegible] კის საქმიანობას.

გ. გვეტაძე
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

მარცვლეულის დამზადებაში გაუმართლებელი ჩამორჩენაა

მიმდინარე წელი თავთავიანი მარცვლეული კულტურებისათვის მეტად არახელსაყრელი იყო. ზაფხულის ხანგრძლივმა და მკაცრმა გვალვებმა თითქმის ყველგან დააზიანა ამ კულტურების ნათესები, განსაკუთრებით კი გარე კახეთის რაიონებში. გვალვებს ვერ გადაურჩა სიმინდის ნათესებიც. მარცვლეულის წარმოების წამყვან რაიონებში შარშანდელთან შედარებით ნაკლები მოსავალი მოიწია.

ამ ერთი თვის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სახელმწიფო რესურსებში გაცვლის წესით სასურსათო მარცვლის, აგრეთვე 1979 წლის მოსავლიდან მარცვლეულის კულტურების ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლის დამატებითი მიზიდვის შესახებ.

ჯერჯერობით მარცვლეულის სახელმწიფოსთვის მიყიდვის გეგმები შეასრულეს გურჯაანის, მცხეთის, დმანისის, ლაგოდეხის, გარდაბნის, მარნეულისა და სიღნაღის რაიონებმა. კარგად მიმდინარობს მარცვლის დამზადება ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონებში. დრო არ ითმენს, სულ მალე მასობრივად გაჩაღდება ყურძნის კრეფა, ქართლში კი ავრეთვე ხილის კრეფა, შაქრის ჭარხლის ამოღება და სხვა. თითოეული დღე ახალ საზრუნავს უჩენს მეურნეებს, დასაბინავებელი ჭირნახულის ასორტიმენტი მატულობს, სატრანსპორტო საშუალებები კი საკმარისი არ არის.

მარცვლის დამზადების ხელსაყრელი დრო ბევრ რაიონში ხელიდან გაუშვეს, არაორგანიზებული მუშაობით წინასწარ შექმნეს სირთულეები დავალების შესრულების საქმეში.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მარცვლის დამზადების ტემპი ახალციხის რაიონში, სადაც გეგმა 49, ხოლო დავალება 23 პროცენტით აქვთ შესრულებული. აქ წელს მოწეული მოსავლიდან მხოლოდ 9 პროცენტი გამოყვეს სასაქონლოდ. შარშან ეს მაჩვენებელი 21 პროცენტს აჭარბებდა. ანალოგიური მდგომარეობაა ასპინძის რაიონში. განსაკუთრებით კულგრილად უკიდებიან მარცვლის დამზადებას წალკის რაიონში. აქ სახელმწიფოს ჯერ მხოლოდ 63 ტონა მარცვალი მიჰყიდეს, რაც გეგმის 4, ხოლო მიღებული მოსავლის 2 პროცენტს შეადგენს.

მართალია, გვალვების გამო მარცვლის რესურსები საკმაოდ შემცირდა წითელწყაროს რაიონში, მაგრამ აქ შესაძლებლობის მაქსიმუმი არ გამოიყენეს მარცვლის დამზადების საქმეში. წელს მთლიანად მოწეული მოსავლიდან სასაქონლო მარცვალი გამოყვეს 32 პროცენტის ოდენობით, ნაცვლად შარშანდელი 40 პროცენტისა. საგულისხმოა, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფმა სიღნაღის რაიონმა შარშანდელთან შედარებით სასაქონლო მარცვალი წელს 5 პროცენტით მეტი გამოყო. საყვედურს იმსახურებს ბოლნისის რაიონიც, სადაც წინა წლებთან შედარებით საერთო მოსავლიდან დამზადებული მარცვლის ოდენობა 6-12 პროცენტით შემაცირეს.

როგორც ვხედავთ, მარცვლეულის დამზადებაში დიდი ჩამორჩენაა. ამიტომ იმ რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, სადაც უკვე დამთავრდა თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღება და სიმინდის მარცვლის დამზადების გეგმის შესრულების გარანტია არა აქვთ, ვიდრე გვიან არ არის, უნდა მიიღონ გადამწყვეტი ზომები მარცვლის დამზადების ტემპის დაჩქარებისათვის.

მარცვლეულის დამზადება რესპუბლიკაში 10 სექტემბრისათვის (ტონობით)

რაიონები	გეგმა	დავალება	სულ გეგმა დავალებასთან ერთად	შესრულება	გეგმასთან	გეგმა დავალებასთან
				შესრულების პროცენტი		
ახალქალაქი	4730	2000	6730	3327	70	49
ბოგდანოვკა	1900	800	2700	1674	88	62
ახალციხე	900	1000	1900	445	49	23
ადიგენი	—	300	300	—	—	—
ასპინძა	400	300	700	167	42	24
ხაშური	2500	500	3000	1859	74	62
ქარელი	5300	800	6100	4631	87	76
გორი	6500	600	7100	4504	69	63
კასპი	3400	600	4000	2384	70	60
საგარეჯო	5500	—	5500	3311	60	60
გურჯაანი	500	800	1300	754	151	58
სიღნაღი	12000	—	12000	12043	100	100
წითელწყარო	33500	—	33500	14702	44	44
თელავი	3300	400	3700	2780	84	75
ახმეტა	3000	700	3700	2771	92	75
ყვარელი	5400	500	5900	4095	16	69
ლაგოდეხი	5600	1400	7000	6046	108	86
გარდაბანი	6000	1500	7500	6444	107	86
მცხეთა	1750	600	2350	2029	116	86
მარნეული	8500	1000	9500	8542	100	90
ბოლნისი	1660	—	7660	3221	42	42
წალკა	1550	400	1950	63	4	3
დუშეთი	600	400	1000	585	98	59
თეთრი წყარო	3500	1000	4500	2848	81	63
დმანისი	2300	700	3000	2654	115	88
სამხრეთ ოსეთის ა/ო	4000	1000	5000	2823	71	56
ქ. წყალტუბოს ზონა	1800	250	2050	140	8	7
სამტრედია	2000	200	2200	98	5	4
წულუკიძე	760	150	910	216	28	24
საჩხერე	60	—	60	3	5	5
სულ რესპუბლიკაში	165000	24850		95171	58	

შენიშვნა: მარცვლის მიყიდვის დამატებითი დავალება რაიონებს დაუწესდა საგარეჯოს, წითელწყაროს, ბოლნისის და ზოგიერთ სხვა რაიონში დამზადების გეგმის მოსალოდნელი შეუსრულებლობის დასაფარავად. ამიტომ მთლიანად რესპუბლიკაში მიღებული მარცვლის რაოდენობა უცვლელი რჩება. (საქინფორმი).

სოფელს შენი დახმარება სჭირდება

სტუდენტები მოსავალს იღებენ

სოფელს ყველაზე პასუხსაგები ხანა დაუდგა — ალოობა. ამ დროს ყოველი დღე ძვირფასია. სოფლის მშრომელები ეშურებიან ყურძნისა და ხილის კრეფას. და იმისათვის, რომ არ დაიკარგოს არც ერთი მტევანი ყურძენი, არც ერთი ნაყოფი, საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად, საათის, წუთის დაუკარგავად მოიკრიფოს შემოდგომის ნოსათი.

სოფელს დახმარება სჭირდება! კონკრეტული, საქმიანი დახმარება — სჭირდება ადამიანები, რომლებიც კოლმეურნეებთან, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან ერთად მოსავლის ასაღებად მოედებიან ბაღ-ვენახებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებსაც შეგნებული აქვთ თავიანთი მოვალეობა რესპუბლიკის, ქვეყნის წინაშე, გამოიჩინეს ინიციატივა დაეხმარონ სოფლის მშრომელთ. 50-კაციანი პირველი სტუდენტური ჯგუფი უკვე შრომობს წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის ბაღ-ვენახებში. როგორც ამ სოფლის თავკაცმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. კობაიძემ თქვა, სტუდენტები მხნედ, ხალისიანად მუშაობენ: პირველსავე დღეს ყოველმა მათგანმა 260 კილოგრამი ყურძენი მოკრიფა. უნივერსიტეტის სტუდენტთა ინიციატივა აითაციეს რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ოთხი ათასამდე სტუდენტი გაემგზავრება რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, რათა დაეხმაროს სოფლის მშრომელებს ამ დაძაბულ დღეებში.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე მოიწვიეს პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების მდივნები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და პარტიული კომიტეტების მდივნები, ტექნიკუმების დირექტორები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, კომკავშირული მუშაკები.

თათბირზე მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგის ე. სეხნიაშვილის ინფორმაცია.

თათბირზე გამოვიდნენ წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კობაიძე, დუშეთის რაიონის მჭადაჯვრის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ქ. ხმასურიძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი დ. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ვ. აბრამიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი რ. გორდეზიანი, საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი გ. კვინტალიანი, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ახვლედიანი, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. წიკლაური, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ვარძელაშვილი.

თათბირზე აღნიშნეს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სტუდენტების მიღების ორგანიზაციას, მათთვის ნაყოფიერი შრომის ყოველგვარი პირობების შექმნას. სტუდენტთა „სოფლის არდადეგები“ უნდა გამოვიყენოთ სოფლის ახალგაზრდობასთან მათი შეხვედრებისათვის. უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ყოველმა სტუდენტმა უნდა შეიგრძნოს თავისი გარჯის მნიშვნელობა და საჭიროება, იგრძნოს პასუხისმგებლობა რესპუბლიკის საქმის საერთო მდგომარეობისათვის.

პრესა, ტელევიზია და რადიო მოვალენი არიან ყოველდღიურად გაუშუქონ ახალგაზრდობის მუშაობა, აჩვენონ მოწინავენი, აღნიშნონ ნაკლოვანებები და ხარვეზები სტუდენტური რაზმების მიღების ორგანიზაციაში. თათბირის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ სტუდენტი ახალგაზრდობა ღირსი იქნება თავისი მაღალი მოწოდებისა, პირნათლად მოიხდის მოქალაქეობრივ ვალს.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ქარუმიძე და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე.

(საქინფორმი).

გულთბილი, მეგობრული შეხვედრა

14 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილემ ნ. ა. ჭითანავამ მიიღო თბილისში მიმდინარე სსრ კავშირის გამსახკომისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მუდმივი შერეული საშუაო ჯგუფის მეშვიდე სხდომის მონაწილეები, რომლებსაც ამ საშუაო ჯგუფის თანათავმჯდომარეები — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარე კრუმ ვასილევი და სსრ კავშირის გამსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ი. ჩხიკვიშვილი მეთაურობენ.

მიღებას ესწრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი ი. თ. დავიდოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ხრისტო ცაჩევი. და სხვები. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. ვ. ა. სოგოლევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ამხ. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოგოლევი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 14 სექტემბერი.

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იუწყებიან, რომ 1980 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად ნამუშევრების მიღება მთავრდება 1979 წლის 16 ოქტომბერს. 1980 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად ნამუშევრების მიღება მთავრდება 1979 წლის 15 დეკემბერს.

გამოფენა — „საქართველოს მსუბუქი მრეწველობა — 80“

ნახევარგამტართა დიდი სიკეთე

პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე

13 სექტემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო ნახევარგამტართა და მონათესავე მასალათა რადიაციული ფიზიკის პრობლემებისადმი მიძღვნილმა პირველმა საერთაშორისო კონფერენციამ. იგი მოიწვიეს ფუნდამენტური და გამოყენებითი ფიზიკის საერთაშორისო ასოციაციამ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტმა.

მსოფლიოს 25 ქვეყნის სამასზე მეტი მეცნიერი შეუდგა მსჯელობას ნელი და სწრაფი ნეიტრონების, მაღალენერგეტიკული ელექტრონებისა და გამა-კვანტების ზემოქმედებისას ნახევარგამტართა ქიმიკის აქტუალურ პრობლემებზე. მეცნიერებს აინტერესებთ მყარ სხეულში დეფექტების წარმოქმნის მექანიზმები, დასხივებისას ნახევარგამტართა თვისებების შეცვლის ძირითადი კანონზომიერებანი. ამ ფიზიკური მოვლენების ამოხსნა საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მასალები გათვალისწინებული თვისებებით, ხოლო მათ საფუძველზე — სრულყოფილი სწრაფმოქმედი საამედო ხელსაწყოები, რომლებსაც ფართოდ იყენებენ თანამედროვე ტექნიკაში, ყოფა-ცხოვრებაში, წარმოებასა და კოსმოსში.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარემ, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ანდრონიკაშვილმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მეცნიერებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ აგრეთვე ლენინგრადის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ვ. ტუჩკევიჩი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ნ. ლანდია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დ. ჩხიკვიშვილი.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში კონფერენციის საერთაშორისო სათათბირო კომიტეტის თავმჯდომარემ, ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტის მყარ სხეულებში დეფექტების კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა, ნიუ-იორკის შტატის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, პროფესორმა ჯ. კორბეტმა თქვა:

— საბჭოთა კავშირში ფართო კვლევა-ძიებას ეწევიან ნახევარგამტართა რადიაციულ ფიზიკაში. დასხივებისას სხვადასხვა მასალების ფუნდამენტურ თვისებათა გამოვლენაზე მუშაობენ ლენინგრადის, მოსკოვის, ნოვოსიბირსკის, თბილისისა და კიევის მეცნიერთა დიდი ჯგუფები. ყურადღებას იპყრობს ალმასის ლაზერული მოწვის დარგში წარმოებული მუშაობა, რაშიც საბჭოთა ფიზიკოსები სამართლიანად ითვლებიან მეტად დიდმნიშვნელოვანი და სერიოზული კვლევა-ძიების პიონერებად. მაგალითად, ჩვენ, ერთობლივ მუშაობას ვეწევით თბილისის უნივერსიტეტის მყარი სხეულის რადიაციული ფიზიკის ლაბორატორიასთან ერთად. კონფერენცია მონაწილეთა რაოდენობით ერთობ წარმომადგენლობითია და ჩვენ გვჯერა, რომ აზრთა გაზიარება ნაყოფიერი აღმოჩნდება და ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა დაახლოებასა და ურთიერთგაგების გაუმჯობესებას.

საერთაშორისო კონფერენცია რაც დღეს გასტანს.

ბივეინთაში გაიხსნა გამოფენა „საქართველოს მსუბუქი მრეწველობა-80“. აქ წარმოდგენილია იმ საქონლის ნიმუშები, რომლებსაც რესპუბლიკის საწარმოები გამოუშვებენ და საკავშირო ქსელი მიიღებს 1980 წელს. აქ დიდი ასორტიმენტით არის წარმოდგენილი ქსოვილები, ტანსაცმელი, ხალიჩები, ფეხსაცმელი, ფაიფური, გალანტერეა და სხვ.

მიმდინარე წლის რვა თვეში საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გეგმის გადამეტებით დაახლოებით 12 მილიონი მანეთის საქონელი გამოუშვეს. თანაც აქედან 16 პროცენტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანია. სულ 1979 წელს სამინისტროს საწარმოები მილიარდ 480 მილიონი მანეთის პროდუქციას მიაწოდებენ საკავშირო ქსელს.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲒᲐᲜᲐ ᲔᲡ ᲤᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲘᲐ!?

საბიჯი ზონა
გ. ლომიძის ნახატი.

2 ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

15 სექტემბერი, 1979 წ.

მეგობარ ევროპიაში

ადის-აბება, 12 სექტემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). აქ, ეროვნულ სასახლეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მენგისტუ ჰაილე მარიამს.

შეხვედრის დროს, რომელმაც მეგობრული ვითარებაში ჩაიარა, ა. ნ. კოსიგინი მენგისტუ ჰაილე მარიამსა და ეთიოპიის სხვა ხელმძღვანელებს, ეთიოპ ხალხს გულითადად მიესალმა და მიულოცა ეთიოპიის რევოლუციის მე-5 წლისთავი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მთავრობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სახელით, აგრეთვე უსურვა წარმატებანი სოციალისტური ეთიოპიის ხალხის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებაში.

მოგვიანებით ა. ნ. კოსიგინი და მენგისტუ ჰაილე მარიამი ეწევიან განვითარებისა და ცენტრალიზებული დაგეგმვის საერთო ეროვნული რევოლუციური კამპანიის მიმწყობი უზენაესი საბჭოს კონგრესის შტაბ-ბინას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ უზენაესი საბჭოს კონგრესს, ყველა ეთიოპიელ ჯანაზაგს უსურვა წარმატებანი საერთო ეროვნული კამპანიის მოწყობაში.

ნაშუადღევს ა. ნ. კოსიგინმა გვერგვინებით შეამკო გამარჯვების ძეგლი, რომელიც ადის-აბების ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზეა აღმართული.

საბჭოთა მთავრობის მეთაური შემდეგ დედაქალაქის მუნიციპალიტეტს ეწვია და ადის-აბების მცხოვრებთ მიესალმა საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით.

ა. ნ. კოსიგინმა, როგორც საპატიო სტუმარმა, „ახსნა სამხატვრო გამოფენა „ეთიოპიის რევოლუცია გრაფიკულ ხელოვნებაში“.

12 სექტემბერს სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა სადილი გამართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის გამო.

სადილის დროს მენგისტუ ჰაილე მარიამმა და ა. ნ. კოსიგინმა სტუმბები წარმოთქვეს.

მიმართა რა საბჭოთა მთავრობის მეთაურს, სოციალისტური ეთიოპიის ხელმძღვანელმა თქვა: მტკიცედ გეწამს, რომ ჩვენი ხალხების ძმური, მჭიდრო ურთიერთობის განმტკიცების საქმეს, რომელსაც საერთო იდეოლოგია უდგას საფუძვლად, ახალი მძლავრი იმპულსი მიენიჭება თქვენი ვიზიტის შემდეგ.

ეთიოპიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას დიდი ისტორია აქვს. მას შემდეგ, რაც ეთიოპმა ხალხმა დაამხო ექსპლოატატორული რეჟიმი, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩაგრავდა მას, და განვითარების სოციალისტური გზა აირჩია, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა ახალ სიმაღლეზე ავიდა და კვლავ წარმატებით ვითარდება.

შეიძლება იყოს ჩვენი რევოლუციის, ჩვენი ერთიანობისა და ჩვენ მიერ სოციალისტური წყობილების აშენების მხოლოდ ორი გარანტია: მტკიცე ეკონომიკური ბაზის შექმნა, მუდმივი ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის მშრომელთა პარტიის დაფუძნება: ამ მიზნით ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის პროგრამის შესაბამისად დავაარსეთ პარტიის შექმნის მთავარი ცენტრი, რომელიც უახლოეს დროში მუშაობას შეუდგება.

რევოლუციურ ეთიოპიას, როგორც ანტიიმპერიალისტური და ანტირეაქციული ძალების ბანაკისა და სოციალისტური სოზოგადოების განუყოფელ ნაწილს, შეგნებული აქვს თავისი ისტორიული მოვალეობა — მხარში ამოუდგეს საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, რომლებიც ახლა იბრძვიან მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის, რასიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის საბოლოო მოსპობისათვის.

არ შეიძლება რომელიმე ხალხს მოვუსპოთ კანონიერი ისტორიული უფლებები. ამიტომ მხარს ვუჭერთ არაბული სახელმწიფოების პოზიციას, რომლებიც ემხრობენ ეკმ-ბენ კემპ-დევიდის გარიგებას.

ექსპანსიონისტთა და იმპერიალიზმის ხრიკების შედეგად მნიშვნელოვნად გაუარესდა ვითარება აზიაში, განსაკუთრებით მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩინეთის შოვინისტური რეაქციული ხელმძღვანელობა იმპერიალისტებთან ერთად ძირს უთხრის სტაბილურობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ჩინეთის აგრესიამ გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ძლევამოსილად იბრძოდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და იყო მაგალითი მთელი ანტიიმპერიალისტური ძალებისათვის, პროგრესული კაცობრიობის აღშფოთება გამოიწვია. ვიეტნამის წინააღმდეგ აგრესიის გაჩაღებით ჩინეთი, რომელიც გაჰკივის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ვიბრძვეო, არსებითად გახდა მისი შორეულაღმოსავლური მოკავშირე პროგრესული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალების გამარჯვება იყო ის, რომ კამბუჩიის რევოლუციურმა სახალხო მოძრაობამ დამბო პოლ პოტისა და იენგ სარის — ჩინეთის შოვინისტური ხელმძღვანელობის მარionეტების დიქტატორული რეჟიმი. მშვიდობისმოყვარე ძალებმა უნდა ამხილონ და დავმონ კამბუჩიისა და ლაოსის მიმართ ჩინეთის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უშიშროებას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ა. ნ. კოსიგინმა.

მიმართა რა დამსწრეთ, საბჭოთა მთავრობის მეთაურმა თქვა: ჩვენ დავალებული გვაქვს სოციალისტური ეთიოპიის ყველა მოქალაქეს გულითადად მივულოცოთ რევოლუციის მეხუთე წლისთავი, მჭიდად მივესალმოთ და ყოველივე საუკეთესო ვუსურვოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საბჭოს, საბჭოთა მთავრობის, ჩვენი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით.

ანტიფეოდალური აგრარული რეფორმის, ბანკების, სადაზღვეო კომპანიების, ძირითადი სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციის შედეგად იქმნება წინამძღვრები ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, ეთიოპი ხალხი თანდათანობით ეუფლება თავის ეროვნულ სიმდიდრეს, სწავლობს თავისი ეკონომიკის მართვას, სულ უფრო ფართოდ ებმება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენ ვიზიარებთ მაღალ შეფასებას, რომელიც ამხანაგმა მენგისტუმ მისცა საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მეგობრულ ურთიერთობას.

შეიძლება ითქვას, რომ ეთიოპიის რევოლუციის იუბილე ამავე დროს არის ჩვენი ახალი სოციალისტური ურთიერთობის იუბილეც. როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, „სოციალისტური ეთიოპიის დაბადების შემდეგ ჩვენს ქვეყნებს შორის დამკვიდრდა მჭიდრო მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა. მას საფუძვლად უდევს სოციალისტური სახელმწიფოებისა და განვითარებადი ქვეყნების საერთო ინტერესები, მისწრაფება გაიერთიანონ მეცადინეობა ბრძოლაში ხალხთა დამოუკიდებელი განვითარებისა და სოციალური პროგრესისათვის, მტკიცე მშვიდობისათვის, აგრესიისა და გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ“.

ახლა, როცა მსოფლიოში უდიდესი დამანგრეველი ძალის მომავკვდინებელი იარაღის მთებია აღმართული, როცა იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული გამალებული შეიარაღების შედეგად სამხედრო მიზნით მთელ მსოფლიოში იხარჯება დღეში მილიარდ დოლარზე მეტი, ცხადია ერთი რამ — მტკიცე მშვიდობის გზა უნდა გადაიღეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაზე, განიარაღებაზე. სხვა გზა არ არის.

არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ დაძაბულობის შენელება უფრო ძლიერ დადებითს იმპულსს შეიძენდა, აფრიკაში რომ აღმოფხვრილი იყოს რასიზმისა და კოლონიალიზმის კერები, დაძლეული იყოს კოლონიური ბატონობის მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც აფვრთხებს აფრიკელი ხალხების პროგრესს და იწვევს საერთაშორისო დაძაბულობას. ზიმბაბვეს და ნამიბიის ხალხები თავისუფალნი უნდა იყვნენ, უნდა მოისპოს აპარტეიდის სამარცხვინო სისტემა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში!

ჩვენ ვიღვწით, რომ რაც შეიძლება მალე მოისპოს დაძაბულობის კერები განთავისუფლებულ დამოუკიდებელ აფრიკაში, რომ ცალკეულ აფრიკელ სახელმწიფოებს შორის არსებული უთანხმოებანი მშვიდობიანი გზით მოწესრიგდეს. ეს ეხება აფრიკის რეგიონსაც, სადაც აგრეთვე საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ რაც შეიძლება მალე დამყარდეს მტკიცე მშვიდობა, ურთიერთგაგება და კეთილმეზობლობა.

ჩვენი პოლიტიკა აფრიკაში ნათელი და თანამიმდევრულია. ჩვენ გვინდა აფრიკული სახელმწიფოები დამოუკიდებელნი, ნეოკოლონიალისტური ექსპლოატაციისაგან თავისუფალნი ვიზიოლთ, რომლებიც გულდაჯერებით ივლიან ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზით, თანასწორუფლებიან და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში.

ჩვენ კმაყოფილი ვართ მოლაპარაკებით, რომელიც დავიწყეთ ამხანაგ მენგისტუსთან და ეთიოპიის სხვა ხელმძღვანელებთან, თქვა ა. ნ. კოსიგინმა, ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ სოლიდარობისა და ურთიერთნდობის, ერთმანეთის აზრების პატივისცემის სულისკვეთებით.

მენგისტუ ჰაილე მარიამისა და ა. ნ. კოსიგინის სიტყვები დამსწრეთ ყურადღებით მოისმინეს, მათი სიტყვების დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სახალხო დღესასწაული

ადის-აბება, 13 სექტემბერს დილით სადღესასწაულო საარტილერიო სალუტის ენიერმა ეთიოპიის დედაქალაქის მოსახლეობა აუწყა, რომ დაწყო ორდღიანი ზეიმი, რომელიც ეთიოპიელი ხალხი ეროვნული დამოუკიდებლობის ოცეულ ნაბიჯად აღნიშნავს, ზეიმს ესწრებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ერს სიტყვით მიმართა მენგისტუ ჰაილე მარიამმა.

ამავე დღეს მენგისტუ ჰაილე მარიამმა ა. ნ. კოსიგინს გადასცა ეთიოპიის რევოლუციის უმაღლესი ორდენი — „1974 წლის თებერვლის რევოლუციის ორდენი“.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაიხადა ამ დიდი პატივისათვის. ამ ჯილდოს, თქვა მან, მივაკუთვნებ ჩვენს ლენინურ პარტიას, მთელ დიად საბჭოთა ხალხს.

ადის-აბება, 14 სექტემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს სოციალისტური ეთიოპიის დედაქალაქში ეთიოპიის რევოლუციის მე-5 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა ეთიოპიის რევოლუციის არმიის ნაწილების პარადი.

პარადი გახსნა ეთიოპიის თავდაცვის მინისტრმა ბრიგადის გენერალმა ტაიე ტილეხუნმა. იგი გულთბილად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ზეურმუზე

გვეტყობინებენ საკადესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები

ვიცოდეთ დროის ყადრი!

მოსკოვსკაია, განვითარებული სოციალიზმის აშენებამ მნიშვნელოვანი, გრანდიოზული ამოცანები დასახა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი განვითარების სფეროში. ამ ამოცანების განხორციელება მოითხოვს ყოველი საბჭოთა ადამიანის კეთილსინდისიერ და სასარგებლო შრომას. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მე-14-ე მუხლში ვკითხულობთ: „საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა და მისი შედეგები განსაზღვრავენ ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში. სახელმწიფო ერთმანეთს უხამებს მატერიალურ და მორალურ სტიმულებს, ახალისებს ნოვატორობას, შრომისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას და ხელს უწყობს იმას, რომ შრომა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაქცეს ყოველ საბჭოთა ადამიანს“.

შრომა იყო და რჩება საზოგადოებრივი განვითარებისა და ადამიანთა არსებობის მთავარ პირობად.

ყოველი შრომა მისი შედეგით, საქმით ფასდება, ადამიანთა შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — ეს, კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ღერძი.

გაცილებით უფრო შედეგიანია იმ ადამიანის შრომა, ვინც კარგად იცის დროის ფასი, არ ფლანგავს მას და რაციონალურად იყენებს ყოველ წუთს.

განსაკუთრებით დიდია დროის და ყოველი წუთის ფასიც კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების პირობებში, როდესაც დროის გარკვეულ მონაკვეთში გათვალისწინებულია რომელიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება. სახელმწიფო გეგმა კანონია და მისი დროული და ხარისხობრივი შესრულება ყველა ჩვენგანის სავალდებულო და წმინდათაწმინდა მოვალეობაა.

ხაზი გაუსვა რა დროის ფასს, სამუშაო დროის დაზოგვასა და ყოველი წუთის მნიშვნელობას, ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XVI ყრილობაზე 1977 წლის 21 მარტს განაცხადა: „ის, ციფრები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რად გვიღირს ერთი წუთი ქვეყნის მასშტაბით. ერთ წუთში გამოვიმუშავებთ ორ მილიონ კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას, ვადნობთ თითქმის 300 ტონა ფოლადს, წაიღიდან ვიღებთ ას ტონაზე მეტ ნავთობს, თითქმის ათას ხუთას ტონა ქვანახშირს, 650 ათას კუბურ მეტრ გაზს. სამუშაო დროის მხოლოდ ერთი წუთის დანაკარგი ქვეყნის მასშტაბით ათს ორასი მუშის მთელი დღის შრომის შედეგის დაკარგვას ნიშნავს.

ასეთია ერთი სამუშაო წუთის ფასი. სამწუხაროდ, ეს ჩვენ ზოგჯერ გავიგწყდება, თორემ გაცდენებითა და მოწყობილობების მოცდენით გამოწვეული ზარალი მილიონობით აკაცდღემდე არ გვეწნებოდა“.

ამ მოკლე და მკაფიო გამონათქვამში ღრმად არის გაანალიზებული დროის ფასი და მისი მნიშვნელობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის, ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობამ.

საქართველოს სს რესპუბლიკამ ზედიზედ იქვსკერ დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა სახელმწიფო გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების პირნათლად და სასახელოდ განაღდებისათვის.

როცა სამი წლის წინათ მეტალურგიული ქარხნის მშრომელებმა წამოაყენეს თაოსნობა დეგიზით — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენს გვერდით!“ რესპუბლიკაში 105 ზარალიანი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა იყო, ახლა კი მათი რიცხვი თითქმის 6-ჯერ შემცირდა და შეიძლება ზარალი მინიმუმამდე დავიყვანოთ, თუ ნამდვილად განვმტკიცებთ დისციპლინას და სწორად გამოვიყენებთ სამუშაო დროს.

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მატერიალური წარმოების სფეროში 1978 წლის 6 თვის, იანვარ-ივნისის დისციპლინის სტატისტიკის ანალიზი გვიჩვენებს, სამუშაო დროის არასაპატიო მიზეზით გამოწვეულმა გაცდენებმა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მარტო 23 დარგში მთლიანად ამ პერიოდში 796,2 ათასი კაცდღე შეადგინა. სამუშაო დროის ამ მიზეზით გამოწვეული დანაკარგების შედეგად რესპუბლიკას დააკლდა 48 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია და 4 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

სამუშაო დროის დანაკარგები განსაკუთრებით დიდი იყო საქართველოს სსრ მუშებუჭი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის, სასოფლო მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის სამინისტროების, „საქსოფლტექნიკისა“ და საკავშირო დაქვემდებარების მთელ რიგ საწარმოებში. უფრო ცუდი მდგომარეობაა და ეს მაჩვენებელი არადამაკმაყოფილებელია ცალკეული საწარმოების მიხედვით. მაგალითად, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აკამეთის ავტრის ქარხანაში საშუალოდ ერთმა მუშამ 6 თვეში დაკარგა 5,4 სამუშაო დღე, ლილოს საშენ მასალათა კომბინატში 5 კაცდღე, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს შულავრის მატყლის ფაბრიკაში — 7,2 კაცდღე, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ახალციხის ღვინის ქარხანაში — 12,2 კაცდღე და სხვ.

დისციპლინის განმტკიცება ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა რგოლსა და უბანზე — აი შემდგომ ახალ მიღწევათა მოპოვების, განუხრელი წინსვლისა და აღმავლობის საფუძველთა საფუძველი, უპირველესი სადღესასო ამოცანა. საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც რესპუბლიკისათვის ზედიზედ მეექვსედ საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას მიეძღვნა, აღინიშნა:

„მას შემდეგ, რაც რესპუბლიკას პირველად მიენიჭა გარდამავალი წითელი დროშა, ჩვენი სახალხო მეურნეობა ძალიან დაწინაურდა, მასში კარგი ცვლილებები მოხდა: გაიზარდა რესპუბლიკის ეკონომიკური ძლიერება, მთლიანად საზოგადოებრივი პროდუქციის წარმოება გადიდდა 53,7 პროცენტით, ეროვნული შემოსავალი — 54, სამრეწველო პროდუქციის წარმოება — 60, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა — 51,1 პროცენტით. ძირითადი ფონდების ამოქმედება გაიზარდა 77, ხოლო კაპიტალური დაბანდების ათვისება — 35 პროცენტით, სამუშაო დროის დანაკარგები მრეწველობაში 44 პროცენტით შემცირდა“.

1978 წელს გაცდენების, მთელი დღის და ცვლის შიდა მოცდენებისა და ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო მრეწველობაში ასეთასთანით კაცდღე დაიკარგა. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფოს დააკლდა 97 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

ამ წარმატებებში, რომლებსაც ბოლო წლებში მიაღწია აბაშის რაიონმა, უთუოდ ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია დროის სწორად გამოყენება, ახლის ძიება და მისი დანერგვა პრაქტიკულ საქმიანობაში. სხვა ღონისძიებებთან ერთად, რომელსაც აბაშის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ახორციელებენ, ვადების ზუსტად დაცვამ და დროის ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში.

მაგრამ, როგორც ეს არაერთხელ აღნიშნულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და რესპუბლიკის აქტივის კრებებზე, ჯერ კიდევ ყველგან არ აღკვეთილა უყაირათობა, დისციპლინის დარღვევის ფაქტები, ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი ნეგატიური მოვლენები, ჯეროვნად ვერ აფასებენ დროის ფაქტორს და ირღვევა მშენებარე ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის, სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების ვადები.

უკეთესად ვინ იცის დროის ფასი, თუ არა იმ პირებმა, რომლებმაც უკვე გაანაღდეს თავთავიანთა ხუთწლიანი გეგმები და მომავალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ. ამ მოწინავეთა კონკრეტული ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, რადგან მათი რიცხვი საგრძნობლად დიდია და განუწყვეტლივ მატულობს.

გაზეთ „პრავდის“ ერთ-ერთ მოწინავე სტატიაში აღნიშნული მითითება ყველა ჩვენგანისათვის სავალდებულო და სახელმძღვანელო უნდა გახდეს: „როცა მუშაობის ლენინურ სტილს ვეუფლებით, სასარგებლოა ხშირად გამოვიყენოთ ხოლმე ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მაგალითი ისტორიული პერსპექტივის განჭვრეტის, პოლიტიკური ამოცანების მთელი ჯაჭვიდან მთავარი რგოლის არჩევის უნარი, — ნათქვამია ამ სტატიაში.—უაღრესი მომართულობა, შრომის კულტურა და მისი ნამდვილად მეცნიერული ორგანიზაცია ეხმარებოდა ლენინს იმდენი საქმე გაეკეთებინა, რომ ეს თითქოს ადამიანის შესაძლებლობასაც კი აღემატებოდა. მისი თანამშრომლების მოგონებებით თუ ვიმსჯელებთ, „რაც უფრო მეტი სამუშაო აწყვიდოდა, მით უფრო ნაკლებად ღელავდა იგი, მით უფრო ნაკლებად იყო გარეგნულად ნერვიული, ყველაფერს გარკვეულ რეგმას უმორჩილებდა“.

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ საჭიროა გავუფრთხილდეთ დროს, ვიცოდეთ ყოველი წუთის ფასი! პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან მტკიცედ ჩაუნერგონ ეს მოთხოვნა ყველას — მუშასა თუ კოლმეურნეს, მოსამსახურესა თუ მოსწავლეს, დროის დაზოგვა გადაიქცეს აუცილებელ ჩვეულად და უზრუნველყონ მათი დარაზმვა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

დოც. კ. დოლიძე,
თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე.

შრომა შედეგით ფასდება

იტალიელი სტუმრები

18 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია შეხვდა იტალიის რიგითი პროვინციების რეგიონალური მთავრობების ხელმძღვანელებს მარკეს ოლქის პარლამენტის თავმჯდომარის რენატო ბაკიანელის ხელმძღვანელობით.

გაიმართა საუბარი, რომელიც ეხებოდა, შეეხებოდა ამოლიის ოლქში საქართველოს სს რესპუბლიკის მონაწილეობით საბჭოთა კავშირის დღეების მოწყობას.

საუბარში მონაწილეობა მიიღო უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ნ. მეკალძემ.

იტალიელი სტუმრები ეცნობიან ჩვენს რესპუბლიკას. (საქინფორმი).

მოკლედ

ყოველი მხრიდან

14 სექტემბერი

პანმი. ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის საერთაშორისო პრემია გადაეცა ნგიაბინის პროვინციის კათხანის თემს, ეს ჯილდო თემს მიენიჭა მოზრდილ მოსახლეობას შორის უწიგნურობის ლიკვიდაციაში მიღწეული მაღალი შედეგებისათვის.

კათხანი ვიეტნამის მეორე თემია, რომელმაც ეს ჯილდო მიიღო. სექტემბრის დამდეგს ახეთი პრემია გადაეცა კამეიუ ბინის თემს.

ოტონუ. ბენინის სახალხო რესპუბლიკასა და სოციალისტურ ეთიოპიას შორის თანამშრომლობისა და საბრძოლო სოლიდარობის განმტკიცებას დაუჭირა მხარი ბენინის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა მ. პერეკუმ დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს, თავმჯდომარის მენგისტუ ჰაილე მარიამისათვის ეთიოპიის რევოლუციის მე-5 წლისთავის გამო გაგზავნილ წერილში.

აფრიკის კონტინენტის მთელი პროგრესული ძალების მოქმედების ერთიანობა, აღნიშნულია წერილში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამჟამად, როცა საერთაშორისო იმპერიალიზმმა გააქტიურა ძირგამომთხრელი საქმიანობა აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების წინააღმდეგ.

კაირო. საუდის არაბეთის მემკვიდრე უფლისწულმა ფაჰდმ მოიწვია ყველა არაბული და აზიამურ სახელმწიფოს აქტიური ღონისძიებანი განახორციელონ ამისათვის, რომ აღკვეთონ ტელავივის აგრესია ლიბანის წინააღმდეგ.

ბონი. საჰაფხულო არდადეგების შემდეგ მუშაობა განახლა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგმა. პირველი პლენარული სხდომა მიეძღვნა 1980 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მოსმენას.

ლონდონი. ძლიერდება საროტესტო მოძრაობა ინგლისის მთავრობის ეკონომიკური კურსის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს სოციალური საჭიროებისათვის განკუთვნილ სახელმწიფო ასიგნებათა მკვეთრ შემცირებას. ამ პოლიტიკის წინააღმდეგ მასობრივი კამპანიის დაწყება გამოაცხადა ქვეყანაში უდიდესი ტრანსპორტისა და არაკვალიფიციური მუშების პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა ბოს ევანსმა.

ფოტოინფორმაცია

სამხრეთ ლიბანში კვლავ სისხლი იღვრება. დღე არ გავა, რომ ისრაელის ავიაციამ არ დაბომბოს ლიბანის სოფლები, ისრაელის არტილერიამ კი საზღვრის იქიდან ცეცხლი არ დაუშინოს პალესტინელ მშვიდობიან მცხოვრებთ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ისრაელთა ბომბები და ჭურვები სამხრეთში ათობით უდანაშაულო ადამიანს იწირავს, მათ შორის არიან ბავშვები და ქალებიც.

სურათზე: ბარბაროსული სპალერო თავდასხმის შედეგად ლიბანელთა ეს ოჯახი უსახლკაროდ დარჩა.

საკადესის ფოტოქრონიკა.

მოკლედ

ინდოეთი

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი. განიარაღება ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIV სესიაზე, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა. სესიის გახსნის წინადღით პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ამას წინათ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილმა ახალმა ხელშეკრულებამ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ფართო მხარდაჭერა პოვა მთელ მსოფლიოში. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია სწორი მიმართულებით, რომელიც ხელს უწყობს კეთილსასურველი ატმოსფეროს შექმნას განიარაღების, განსაკუთრებით ბირთვული განიარაღების დარგში კიდევ უფრო დიდნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმისათვის, თქვა ვალდჰაიმმა. მისი რატიფიკაცია საშუალებას მოგვცემს განვამტკიცოთ ნდობა სახელმ-

მთავარი პრობლემა

ნიუ-იორკი, 14 სექტემბერი. განიარაღება ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXIV სესიაზე, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა. სესიის გახსნის წინადღით პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ამას წინათ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილმა ახალმა ხელშეკრულებამ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ფართო მხარდაჭერა პოვა მთელ მსოფლიოში. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია სწორი მიმართულებით, რომელიც ხელს უწყობს კეთილსასურველი ატმოსფეროს შექმნას განიარაღების, განსაკუთრებით ბირთვული განიარაღების დარგში კიდევ უფრო დიდნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმისათვის, თქვა ვალდჰაიმმა. მისი რატიფიკაცია საშუალებას მოგვცემს განვამტკიცოთ ნდობა სახელმ-

კ. ვალდჰაიმის პრესკონფერენცია

წიფოებს შორის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მაღალი შეფასება მისცა მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების VI კონფერენციის შედეგებს, რომელიც ჰავანაში დამთავრდა, და გამოთქვა რწმენა, რომ მიუმხრობლობის მოძრაობა კვლავაც შეასრულებს კონსტრუქციულ როლს საერთაშორისო საქმეებში.

აღნიშნა რა, რომ გენერალური ასამბლეა დიდ ყურადღებას დაუთმობს ახლო აღმოსავლეთის პრობლემას, კ. ვალდჰაიმმა ხაზი გაუსვა საყოველთაო მოწესრიგების საჭიროებას ამ რაიონში. ასეთი მოწესრიგება, თქვა მან, შეუძლებელია, თუ არ გადაიჭრა პალესტინის საკითხი. ვალდჰაიმმა კვლავ დაუჭირა მხარი ყველა დინტერესებული მხარის მონაწილეობას ახლო აღმოსავლეთის პრობლემაზე მოლაპარაკების მოყვარე ძალებმა უნდა ამხილონ და დავმონ კამბუჩიისა და ლაოსის მიმართ ჩინეთის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უშიშროებას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ა. ნ. კოსიგინმა.

მი

სოხუმი: ფოტოეკრანი

ცეკავშირის „საქკომრეწვის“ სამმართველოს სოხუმის საწარმოო კომბინატი თავის პროდუქციას ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში, აგრეთვე იაპონიაში, ფინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში გზავნის.

კომბინატის კოლექტივმა მიმდინარე წლის რვა თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით 170 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. სურათზე: სუვენირების საამქროს ოსტატი ნონა ჯგრბა საწარმოს სუვენირებთან.

სოხუმიდან მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში თვითმფრინავებს ყოველდღე მიაქვს მზიური აფხაზეთის საჩუქრები — ათასობით მიხაკი, გეორგინი და სურნელოვანი ვარდი.

სურათზე: ორანჟერეაში მიხაკებს კრეფენ.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



სლოვაკიაში აჭღერდება

ბრატისლავაში გაიმართება ოთარ თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტი

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედება პოპულარული არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ნოემბრის პირველ რიცხვებში მისი კონცერტები სლოვაკიის დედაქალაქში გაიმართება. შესრულდება ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“ და სავიოლინო კონცერტი ორკესტრთან ერთად. მათ შეასრულებს ბრატისლავის სიმფონიური ორკესტრი ავტორის დირიჟორობით. სოლისტებად გამოვლენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მომღერალი ი. შუშანია და რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი მევიოლინე ლ. ისაკაძე.

ბრატისლავაში გამოსვლამდე კომპოზიტორი შეხვდება კოლეგებს საფრანგეთსა და ისლანდიაში. (საქინფორმი).

ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

თანამედროვე დრამატურგიას — მთავარი ყურადღება

დღეს, 15 სექტემბერს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ახალ სეზონს ხსნის ა. ჩხაიძის პიესით — „შთამომავლობა“.

— 1979-80 წლების სეზონი განსაკუთრებულია ჩვენთვის, — უთხრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა **გიგა ლორთქიფანიძემ.** — მალე, ოქტომბრის დამლევს მარჯანიშვილის თეატრი იზეიმებს ორმოცდაათი წლის იუბილეს, რომელიც, უთუოდ, დიდი მოვლენაა არა მარტო თეატრის, არამედ მთელი ქართული კულტურისათვის.

საიუბილეოდ არაერთი საინტერესო გამოცემა, ალბომი, ბუკლეტი და მონოგრაფია მიიღო მკითხველმა, რომლებშიც ასახულია თეატრის გზა დასაბამიდან — დღემდე, განხილულია შემოქმედება და ღვაწლი იმ ადამიანებისა, რომლებიც სახელითა და დიდებით მოსავდნენ ჩვენი რესპუბლიკის კულტურის ამ ერთერთ უმნიშვნელოვანეს კერას.

სეზონი ჩვენი თეატრისათვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მარჯანიშვილელებს პირველად მოუხდებათ სავსტროლოდ გასვლა საზღვარგარეთ. გასტროლები დაგეგმილია გაისად, საბერძნეთში, სადაც გაიმართება „ბერძნული ტრაგედიის ფესტივალი“. ეს ფაქტი, მოგეხსენებათ, ფრიად პასუხსაგებია თეატრისათვის. განზრახული გვაქვს საგასტროლოდ წავიღოთ სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“. კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული უბერებელი სპექტაკლი კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და ბ. ბრეხტის „ფულიერი“.

ბოლო ორი სპექტაკლი გადადგმულია ბ. ბრეხტის ორიგინალურ ინსცენირებებზე. ასევე იყო მარშანდელ სეზონში, როდესაც, ჩემი აზრით, მაყურებელი კმაყოფილებით შეხვდა ლ. თაბუკაშვილის „ძველ ვალს“, თ. ჭილაძის „ბუდეს მეცხრე სართულზე“ და ა. ჩხაიძის „შთამომავლობას“ (ამ სპექტაკლში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა გამოჩენილი ქართველი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის ნიჭმა და უზადო ოსტატობამ).

თეატრი ახალ სეზონშიც თავისი პრინციპის ერთგული დარჩება — სიამოვნებით დადგამს თავის სცენაზე თანამედროვე ქართველ ავტორთა პიესებს, ყოველივე მნიშვნელოვანსა და ღირებულს.

ფეხბურთის ამბები

ანტრაქტი დამთავრდა

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების ორკვირიანი შესვენება დამთავრდა. და აი დღეს იწყება საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეოთხე ტური. ერთმანეთს ხვდებიან: „ყაირათი“-„დინამო“ (მინსკი), „დინამო“ (კიევი)-„ზარია“, „ჩერნომორეცი“-„ნეფთჩი“, „შახტიორი“-„ფახთაქორი“ ასკ-„დინამო“ (მოსკოვი), „ტორპედო“-„არარატი“, „დინამო“ (თბილისი)-„სპარტაკი“.

თბილისს „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“ საკავშირო ჩემპიონატებში აქამდე 74-ჯერ შეხვდნენ. აქედან თბილისელებმა მოიგეს 28 მატჩი, 33 შეხვედრა წაგეს და 13 ფრედ დაამთავრეს. ბურთების შეფარდება 115-87 „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

გუშინ შოეწყო თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „სპარტაკის“ დუბლიორთა შეხვედრა, გიმთავრჯვეს სპარტაკელებმა — 2:0.

პირველ ლიგაში

ბაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეცამეტე ტურის მატჩები. „ქუთაისის „ტორპედო“ ნალჩიკში“ შეხვდა ადგილობრივ „სპარტაკს“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. გთამაშეს ბაკალავიდებურად ლიდერობს ლვოვის „კარპატი“ (45 ქულა). ქუთაისის „ტორპედო“ 34 ქულით მეთერთმეტე ადგილზეა.

მეორე ლიგაში

მეორე ლიგის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის 37-ე ტურის მატჩები საქართველოს კოლექტივებმა ასე დაამთავრეს: „დინამო“ (ზუგდიდი)-„ხაზარი“ (ლენინაკანი) — 2:0, „დინამო“ (სოხუმი)-„არაბკირი“ (ერევანი) — 3:0, „დინამო“ (ბათუმი)-„არაზი“ (ნახიჩევანი) — 5:3, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი)-„დილა“ (გორი) — 0:0, „დინამო“ (ციროვი)-„კოლხეთი“ (ფოთი) — 1:0, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა)-„გურია“ (ლენინგრადი) — 1:2, „ზენიტი“ (იჟევსკი)-„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 2:1. ტურნირს 48 ქულით ლიდერობს ამოვიანის „კოტაიკი“. 46-46 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ ლენინგრადის „გურია“ და სტეფანაკერტის „ყარაბახი“.

თამაშობს „ლივერპული“

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ მეტოქემ „ლივერპულმა“ ინგლისის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი გამართა „კონვეტრისთან“ და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 4:0. ახლა „ლივერპულს“ ოთხი თამაშიდან 5 ქულა აქვს (ბურთების შეფარდება — 9:4) და მერვე ადგილზეა.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ქართული მხატვრული ტანვარჯიშის ახალ იმედს, 15 წლის მაია ნადიბაიძეს. მაია ახლახან სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს და ამჟამად პასუხსაგები სტარტებისათვის ემზადება. იგი თბილისის კოსმონავტ ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მეცხრეკლასელია და სწავლის წარჩინებულია. მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალისტები მაიას დიდ სპორტულ გამარჯვებებს უწინასწარმეტყველებენ. სწორედ ამიტომ მიიწვიეს იგი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში.

სურათზე: მაია ნადიბაიძე ვარჯიშის დროს. ა. სააკოვის ფოტო.

რიგის საზონათშორისო...

ლატვიის დედაქალაქ რიგაში მიმდინარეობს მოქადაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ასპარეზობა. ექვსი ტურის შემდეგ გადადებული პარტიები ასე დამთავრდა: ადორიანმა დაამარცხა ცეშკოვსკი, მაილსმა — ბუაზიზი, ცეშკოვსკიმ — პოლუგაევსკი. დაზავდნენ ლარსენ-ტროისი, მედინს-ლუბოევიჩი, როდრიგეს-რომანიშინი, ტროისტარიანი, რიმსდეკ-მედნისი.

ექვსი ტურის შემდეგ მოქადაკეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ტალი — 5,5 ქულა, ადორიანი და ლარსენი — 4,5, 4,5, გეორგიუ და რიბლი — 4:4, მაილსი და პოლუგაევსკი — 3,5-3,5 ქულა.

სად, რა, როდის

გუშინ, გუშინწინ

უნივერსიადა. მეხიკოში დამთავრდა სტუდენტთა უნივერსიადა, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებმა დიდი წარმატება 34 ოქროს, 29 ვერცხლის და 12 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მეხიკოს ოლიმპიურ სტადიონზე გამართული ზეიმის დროს საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა პრიმო ნებილიომ უნივერსიადა დახურულად გამოაცხადა. მომდევნო ასპარეზობას 1981 წელს ესპანეთი უმასპინძლებს.

ჰოკეი. პრაღაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „რუდე პრავოს“ პრიზზე. სსრ კავშირის ნაკრებმა გადამწყვეტი მატჩი მოუგო ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდს (6:4) და ზედიზედ მესამედ მოიპოვა გაზეთის მთავარი პრიზი.

კლასიკური ჭიდაობა. ტალინში დამთავრდა პროფკავშირთა საზოგადოებების საკავშირო ჩემპიონატი. **საქართველოს მოჭიდავეთაგან თავი ისახელა თბილისელმა გ. მაკარაშვილმა.** მან 62 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ყველას აჯობა და პირველობა მოიპოვა.

რაგბი. ყაზანში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოციალისტური ინდუსტრიის“ პრიზზე. გუშინწინ რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა დაამარცხა პოლონეთის გუნდი ანგარიშით 13:3, გუშინ კი სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო რუსეთის ფედერაციის გუნდს — 34:7.

ველოსიპორტი. საფრანგეთის გზებზე გრძელდება მრავალდღიანი ველორბოლა „ტერ დე ლავერნირი“. მერვე ეტაპი (149 კმ) მოიგო ლენინგრადელმა სერგი მოროზოვმა. მეცხრე ეტაპზე (135 კმ) ყველას აჯობა როსტოველმა იური კაშირინმა. ცხრა ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში კვლავ კუბიმშეველი საიდ ჰუსეინოვი ლიდერობს. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრები მეორე ადგილზე მყოფ პოლონელებს 45 წუთით უსწრებს წინ.



რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

17 სექტემბერი

პირველი პროგრამაში: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 16.30 — აბიგურიენგთათვის — ბიოლოგია (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.35 — ბავშვებისათვის — „ბრიყვი წრუწუნა“ (ფ.), 18.10 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 18.40 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კომისარი“ (ფ.), 19.00 — „ახალი საგელევიზიო სასწავლო ფილმ“ (ფ.), 19.30 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოდგომის თბილი ქვეყნები“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ), 20.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „საესტრადო პანორამა“ (ფ.).

მეორე პროგრამაში: 16.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — დოკუმენტური ფილმი „საზღვარი და დრო“ (ფ.), 17.10 — ლიტერატურული გადაცემა მოსწავლეთათვის — „ბაჩანა“. ნიკო რაზიკაშვილი, 17.40 — განცხადებები (ფ), 17.45 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია (ფ.), 18.30 — ქართული მხატვრული ფილმი „მალე გაზაფხული მოვა“.

18 სექტემბერი

პირველი პროგრამაში: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 16.30 — აბიგურიენგთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — ლიტერატურული გადაცემა მოსწავლეთათვის „დავით გურამიშვილი“, 17.50 — შვეიცარიელთა იტალიური ენა, 18.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცა მიწაზე იწყება“, 18.40 — „ჩვენი საკოსულტაციო დარბაზი“, 19.15 — კონცერტი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — კინოფეტივალი „ბოლო ბრუნინონ“ (ფ.), 13.35 — „მუსიკალური სიცილაღი“ (განმეორებით. ფ.), 14.45 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.30 — „თბილისი და თბილისელები“ (ფ.), 16.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.10 — „გავეფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“ (ფ.), 16.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეორეხარისათვის, 17.30 — „საგელევიზიო მისაღები“ — სტუდიაში საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ფ. ჭინჭარაძე (ფ.), 18.30 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 19.30 — მხატვრული ფილმი „მიმინო“ (ფ.), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მინიატიურების საგელევიზიო თეატრი „13 სკამი“ (მ.).

მეორე პროგრამაში: 16.45 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.25 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — მხატვრული ფილმი „ბეფე — ირემი“ (ფ.), 18.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. დოკუმენტური ფილმები: „შენი შვილი ვარ, მოსკოვო“, „ოქროს ფესვი“ (ფ.), 19.50 — „შეხვედრა სიმღერასთან“ — ეთერ ჭელიძე (ფ.).

19 სექტემბერი

პირველი პროგრამაში: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 16.30 — აბიგურიენგთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.25 — შვეიცარიელთა გერმანული ენა, 17.55 — მოსწავლეთათვის — კინოცერტი (ფ.), 18.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რა არის ჩვენი ცხოვრება“ (ფ.), 18.45 — „მთავარი სიმაღლე“ — კადრები წყვეტილ ყველაფერს (განმეორებით), 19.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — ფეხბურთი უეფას თასზე „დინამო“ (კიევი) — ცსკა „სეპტემბრიისკო ზნამე“ (ბულგარეთი). გრანსლაცია კიევიდან, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.30 — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ფეხბურთში „ლივერპული“ (ინგლისი) — „დინამო“ (თბილისი). გრანსლაცია ლივერპულიდან. შესვენების დროს „დღეს მსოფლიოში“ (მ.),

მეორე პროგრამაში: 16.25 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სამეცნიერო პოპულარული ფილმი „მეცნიერების პირმშო“ (ფ), 17.15 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა (ფ.), 18.00 — განცხადებები (ფ.), 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.15— საგელევიზიო სპექტაკლი „ათასი სული“. II და III ნაწილი.

20 სექტემბერი

პირველი პროგრამაში: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 16.30 — აბიგურიენგთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — „ქართული ფილმი“ — საოპერეტო კინოჩვენება მხატვრული ფილმი „დაკარგული სამოთხე“, 18.25 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“, 18.45 — „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ — „მეცრის ნოვოსიბირსკის გუნდი (ფ.), 19.20 — მუსიკალური შესვენება, 19.25 — „მეუღლეებზედ თქმული“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „ლოტუსი“ (ფ.), 21.20 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „სიმღერა მეც მაქვს საქართველოზე“. ლადო სულაბერიძის დაბადების მე-60 წლისთავის გამო (ფ.).

მეორე პროგრამაში: 16.25 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩვენ ულტრიენ ზღაპარი“ (ფ.), 17.30 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.), 18.15 — განცხადებები (ფ.), 18.20 — რუსული სკოლის მოსწავლეთათვის — ქართული ენა (ფ.), 18.50 — მხატვრული ფილმი „ვაშლის გემი“.

21 სექტემბერი

პირველი პროგრამაში: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 16.30 — აბიგურიენგთათვის — ქიმია (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.25 — შვეიცარიელთა ფრანგული ენა, 17.55 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სათვალიანი“ (ფ.), 18.40 — „ჩვენი ლაბორატორია“ — ჯაშმალ გახოკიძე, 19.10 — „დაჩიოული ქსოველები“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „გზები, რომელებსაც ჩვენ ვირჩევთ — ბობის რაიონი (განმეორებით), 21.45 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქარზე უსწრაფესი“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — კონცერტი.

მეორე პროგრამაში: 16.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.10 — მასწავლებლის საათი. გეომეტრია (ფ.), 17.45 — განცხადებები (ფ.), 17.50 — კონცერტი, 18.30 — მხატვრული ფილმი „თეთრი წყვდიადი“.

22 სექტემბერი

პირველი პროგრამაში: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეხვედრები ანტონ პაპანოვთან“, 11.15 — შვეიცარიელთა ქართული ენა (ფ.), 11.45 — კინონარკვევი, 11.55 — „თვვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 12.25 — „დღეს ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 12.55 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კოლა ბრუნინონი“ (ფ.), 13.35 — „მუსიკალური სიცილაღი“ (განმეორებით. ფ.), 14.45 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.30 — „თბილისი და თბილისელები“ (ფ.), 16.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.10 — „გავეფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“ (ფ.), 16.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეორეხარისათვის, 17.30 — „საგელევიზიო მისაღები“ — სტუდიაში საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ფ. ჭინჭარაძე (ფ.), 18.30 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 19.30 — მხატვრული ფილმი „მიმინო“ (ფ.), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მინიატიურების საგელევიზიო თეატრი „13 სკამი“ (მ.).

მეორე პროგრამაში: 16.45 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.25 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — მხატვრული ფილმი „ბეფე — ირემი“ (ფ.), 18.35 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. დოკუმენტური ფილმები: „შენი შვილი ვარ, მოსკოვო“, „ოქროს ფესვი“ (ფ.), 19.50 — „შეხვედრა სიმღერასთან“ — ეთერ ჭელიძე (ფ.).

23 სექტემბერი

პირველი პროგრამაში: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ობის მთავარი შენაკადი“ (ფ.), 10.00 — შვეიცარიელთა რუსული ენა (ფ.), 10.30 — „ბალიბარა“ (მ.), 11.00 — „ცეროდენას ეკრანი“, 11.30 — გელეკურსელთათვის — ქართული ენა (ფ.), 12.00 — „სუბმრად ზღაპრთან“ — მხატვრული ფილმი „ეკიმი აიბოლიტი“ (მ.), 13.30 — „კინოფაფა“, 14.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“ (ფ.), 14.25 — მუსიკალური შესვენება, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მ.), 15.00 — „კინოს მოყვარულთათვის“, 16.30 — „მოსწავლეთათვის — „მეგობრობის მერიდიანზე“, 16.50 — „კინომოზაიკა“, 17.45 — „ბახმაროს ხვალინდელი დღე“, 18.15 — „მულტიპლიკაციური ფილმი, 18.35 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — ალექსი ბაჭავარიანი, 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ (თბილისი) — „ერილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — ტრანსლაცია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. შესვენების დროს კინოჟურნალი, 20.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — რეგბი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „ლოკომოტივი“ (თბილისი) — სსა (მონინო), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „მუსიკალური ფოსტა“ (ფ.).

მეორე პროგრამაში: 15.55 — გასართობი კინოპროგრამა ბავშვებისათვის, 16.55 — კონცერტი, 17.45 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — მხატვრული ფილმი „არც ერთი დღე თავგადასავლების გარეშე“.

ტელევიზია

15 სექტემბერი

პირველი პროგრამაში: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — დოკუმენტური ფილმი „შენი შვილი ვარ, მოსკოვო“ (ფ.), 10.35 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან (განმეორებით. ფ.), 11.25 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „ვაშლის გემო“, 12.30 — „დღეს მსოფლიოში“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. (მ.), 13.40 — „ბღერის ანსამბლი „ბორი“. (განმეორებით), 14.10 — კინონარკვევი, 14.20 — „ვერნისაჟი“ (ფ.), 14.50 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიგიყვა თქმული კახეთზე“ (ფ.), 15.00 — „გადაცემა საბჭოთა არმიის მეორეხარისათვის, 15.45 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 16.30 — „ეგე თბილისელი ვარ“ (ფ.), 17.30 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45 — დოკუმენტური ფილმი, 18.05 — მოსწავლეთათვის — „სოფლის ჩანახატები“, 18.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: თბილისის „დინამო“ — მოსკოვის „სპარტაკი“. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. შესვენების დროს კინოჟურნალი, 20.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „ეკიმი ბაბაიევი“ — „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) — „ბაბა“ — „ბორი“ (ბაკური) — ტრანსლაცია ნოვოსიბირსკიდან. 23.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 23.35 — სპორტული კალეიდოსკოპი.

ჟ. ბესკოვი: „დინამოს“ მეტი შანსი აქვს“

— **დღევანდელ** მატჩში თბილისის „დინამოს“ გამარჯვების მეტი შანსი აქვს. იგი საკუთარ მინდორზე თამაშობს და ექვი არ მეპარება, რომ მაყურებლები მხურვალედ დაუჭერენ მხარს თავიანთ საყვარელ ფეხბურთელებს. ისე კი, დაუფარავად გეტყვით, წელს „სპარტაკს“ არცა აქვს ოქროს მედლების იმედი. ჩვენი გუნდი, თუმც აზარტული და შეკრულია, მაგრამ ჯერ მაინც ახალგაზრდაა და გამოცდილებაც აკლია, — თქვა **საქინფორმის კორესპონდენტთან ი. გორელოვთან და შ. შალოლაშვილთან საუბარში მოსკოვის „სპარტაკის“ უფროსმა მწვრთნელმა ჟ. ბესკოვმა.**

აეროპორტში მოსკოველ ფეხბურთელებს გულთბილი შეხვედრა გაუმართეს თბილისელებმა, შეფებმა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა. შედგენილია ვრცელი კულტურული პროგრამა, თუ რა თქმა უნდა, ფეხბურთელებმა მოიცალეს მისი მთლიანად შესრულებისათვის.

ჟ. ბესკოვთან საუბარი განვაგრძეთ სასტუმრო „ივერიაში“, სადაც მოსკოველი ფეხბურთელები დაბინავდნენ.

— ათეწლი საბჭოთა ნაკრების ბეგრმა ფეხბურთელმა თავის შესაძლებლობაზე უარესად ითამაშა, მაგრამ მათ შეიძლება გავუგოთ. ასეთი ცუდი მიღება ნაკრებთან მუშაობის მთელი წლების მანძილზე არ მახსოვს. პრესა აღვივებდა არაჯანსაღ ვნებებს. ჩვენს წვრთნაზე რამდენიმე ათასმა ადგილობრივმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი და მათმა ყიჟინამ პირდაპირ ყურთასმენა წაიღო. მაშინვე ვგრძნობენ, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი ფსიქოლოგიურად წახდა. მეედანზ არ იკითხავთ? უარესი ალბათ არც არსებობს. ასეთ მოედნებზე მხოლოდ ომამდელ წლებში თუ გვითამაშია.

ჟ. ბესკოვი არ ეთანხმება იმ სპეციალისტებს, რომლებიც საბერძნეთის ნაკრებს საშუალო გუნდად თვლიან.

— აბა, ბერძნებმა თავიანთი მოედანზე მოუგეს უნგრელებს — 4:1 და ფინელებს — 8:1. ბუდაპეშტში ფრედ ითამაშეს, თანაც საბერძნეთის გუნდს მეტი შანსი ჰქონდა.

შემდეგ ძველი ამბები გავიხსენეთ და სიტყვა ჩამოვაგდეთ ქართველ ფეხბურთელებზე, რომლებთანაც მოუხდა მუშაობა მწვრთნელ ბესკოვს. — ფეხბურთის მოყვარულთ ალბათ ახსოვთ, — თქვა მან, — რომ სლავა მეტრეველმა საბრძოლო ნათლობა მოსკოვის „ტორპედოში“ მიიღო, რომელსაც იმხანად მე ვხელმძღვანელობდი...

ჟ. ბესკოვმა ქებით მოიხსენია თბილისის დინამოელები.. იგი საბჭოთა ფეხბურთის საუკეთესო ოსტატებს შორის ასახელებს ძმებს მაჩაიძეებს, ხინჩაგაშვილს, ქორიძეს, გუცაევს, დარასელიას, ყიფიანს და შენგელიას.

— ყოველ მათგანს თამამად შეუძლია დაიკვას სსრ კავშირის ნაკრების ღირსება. — თქვა ჟ. ბესკოვმა.

ჟ. ბესკოვი ამბობს, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ყოველმა თაობამ საბჭოთა ფეხბურთს შესძინა განუმეორებელი „ვარსკვლავები“: პაიჭაძე, ღოღობერიძე და ჭკუასელი, მესხი და მეტრეველი, იამანიძე და ბარქაია...

— თბილისის „დინამოს“ უდიდესი ამაგი მიუძღვის სამამულო ფეხბურთის განვითარებასა და წარმატებებში, — დასძინა საუბრის დასასრულს ჟ. ბესკოვმა.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

სოხუმი: ფოტოეკრანი

თეთრი ხალათის შავი ლაქები

თავისი ფორმითა და შინაარსით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის ეს გამსვლელი სხდომა, მართლაც რომ უჩვეულო იყო. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ არა მარტო კოლეგიის წევრები, არამედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო, ექიმთა დახელოვნების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, კათედრების ხელმძღვანელები, მეცნიერი მუშაკები, საავადმყოფოების განყოფილებათა გამგეები, დედაქალაქის სამედიცინო აქტივი. სხდომას 150-მდე კაცი ესწრებოდა.

კოლეგიის სხდომა სპეციალურად რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში მიმდინარეობდა. ამ ღონისძიების მთავარი მიზანი ის იყო, რომ ფართოდ ემსჯელათ და საჭირო ღონისძიებანი განეხორციელებინათ საავადმყოფოს და მის ბაზაზე არსებული კათედრების საქმიანობაში გამოვლენილი სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

გამსვლელი კოლეგიის განსახილველად მასალები სპეციალურად მომზადდა. ამისათვის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტმა კომპლექსურად შეადგინეს და შეისწავლეს საავადმყოფოს და კლინიკური კათედრების მუშაობა.

შემოწმების შედეგებსა და ღონისძიებათა პროექტის თაობაზე შეკრებილთ მოახსენა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან არსებული ინსპექციის უფროსმა ო. აბაშიძემ. საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ პროფესორები გ. გურგენიძე, თ. დეკანოსიძე, ზ. კახიანი, ა. ასათიანი, ს. ხეჩინაშვილი, კ. ვირსალაძე, საავადმყოფოს მთავარი ექიმი ჯ. აბულაძე, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. გოგოძე, თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ლ. აბაშიძე, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეები კ. გეგელაშვილი, ო. ჭყონია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი გამგე მ. გიორგაძე და სხვები. კოლეგიის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა გ. ლეონავამ.

კოლეგიის სხდომის